საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №60
2013 წლის 5 მარტი

ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/07/2012, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **მე-4 მუხლის:**

ა) **მე-4 პუნქტის:**

ა.ა) **„ა“ ქვეპუნქტის ,,ა.ბ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,ა.ბ) ექსპორტიორი ქვეყნის მიერ გაცემული:

ა.ბ.ა) ვეტერინარული სერტიფიკატი;

ა.ბ.ბ) ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი;’’;

ა.ბ) **„ა“ ქვეპუნქტის ,,ა.ბ” ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.გ“ და „ა.დ“ ქვეპუნქტები:**

,,ა.გ) ფიტოსანიტარიულ ან/და ვეტერინარულ სასაზღვრო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის შემთხვევაში (გარდა ტრანზიტისათვის განკუთვნილისა) – წინასწარი შეტყობინება, შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ფორმით;

ა.დ) საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) 9404 სასაქონლო პოზიციაში შემავალი მეორადი მოხმარების საქონლისა და 6309, 6310, 9802, 9803 და 9804 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მეორადი მოხმარების საქონლის იმპორტისას – ფუმიგაციის ან/და დეზინფექციის სერტიფიკატი.“;

ბ) **მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „4^1“ პუნქტი:**

„4^1. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნებართვის ორიგინალი დეკლარანტის (ან მისი წარმომადგენლის) მიერ შესაძლებელია წარდგენილ იქნეს ნებისმიერ საბაჟო გამშვებ პუნქტში ან გაფორმების ეკონომიკურ ზონაში. ასეთ შემთხვევაში, საბაჟო გამშვებ პუნქტში, სადაც ხორციელდება საქონლის ზოგადი დეკლარირება, ნებართვა წარდგენილად ჩაითვლება.“.

2. დანართი №IV-02 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2013 წლის 15 აპრილიდან.

ფინანსთა მინისტრი **ნოდარ ხადური**

„დანართი №IV-02

ლიცენზიები/ნებართვები/სერტიფიკატები

შენიშვნა: საჭირო დოკუმენტი შესაბამისი სასაქონლო ოპერაციის სვეტში მინიშნებულია ვარსკვლავით

დოკუმენტის დასახელება	იმპორტი	საწყობი	რეექს პორტი	დროებითი შემოტანა	ექსპორტი	ტრან ზიტი	შიდა გადამუ შავება	გარე გადამუ შავება

დაკვირვების ელექტრონული საშუალებების იმპორტის ან ექსპორტის ლიცენზია	*	*			*			*
ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩითა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორის და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზია					*			*
ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტის ნებართვა		*				*		
ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა	*	*		*			*	
ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვა	*	*		*			*	
შეზღუდულად ბრუნვადი მასალების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვა	*	*	*		*	*		*
ბირთვული, რადიაციული ობიექტების, ბირთვული მასალების, რადიაქტიული ნივთიერებების, რადიაქტიული ნარჩენების, მინერალების (წიაღისეულის), რომლებისგანაც პრაქტიკულად შესაძლებელია ბირთვული მასალების მიღება, ყველაფრის, რაც დამზადებულია ბირთვული მასალისაგან ან რადიაქტიური ნივთიერებისაგან ან შეიცავს მათ, როგორც შემადგენელ ნაწილს, აგრეთვე ბირთვული ტექნოლოგიების ან ნოუ-ჰაუების ექსპორტის, იმპორტის ან ტრანზიტის ნებართვა	*	*	*		*	*		*
„გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორის და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის ნებართვა	*	*	*	*	*			
იარაღისა და საბრძოლო მასალის იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვა	*	*	*	*	*	*		*
უცხო ქვეყნის და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელთა, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან პირთა ვიზიტის დროს მათ თანმხლებ პირთა მიერ იარაღისა და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის, საქართველოდან გატანისა და საქართველოში გადაადგილების ნებართვა.)			*	*		*		
საქართველოს მოქალაქის მიერ სამოქალაქო ცეცხლსასროლი გაზის (აირის) იარაღის, მისი/მათი ძირითადი ელემენტების საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის ან	*	*		*	*			

საქართველოდან გატანის (გარდა ტრანზიტისა და რეექსპორტისა) ნებართვა.								
ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვა	*	*	*		*	*		*
სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტის ან ექსპორტის ნებართვა	*				*			*
არაიოდიზებული მარილის იმპორტის ნებართვა	*	*						
საქართველოს კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანის ნებართვა					*			*
დსთ-ის ზოგიერთ ქვეყანაში წარმოებული საქონლის რეექსპორტის ნებართვა (შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული)			*					
სამხედრო-საბრძოლო იარაღის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის, ტრანზიტის, შიდა გადამუშავების, გარე გადამუშავებისა და დროებითი შემოტანა გატანის ნებართვა.	*	*	*	*	*	*	*	*
უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საქართველოში შეძენილი სამოქალაქო ცეცხლსასროლი გაზის (აირის) იარაღის საქართველოდან გატანის ნებართვა.					*			
უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ სანადირო ან სპორტული ცეცხლსასროლი იარაღის საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის და საქართველოდან გატანის ნებართვა.	*	*	*	*				
შესაბამისი პროფილის სპორტული დაწესებულების მიერ საზღვარგარეთ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობისათვის სპორტული ან სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის დროებით საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის ნებართვა.	*			*	*			
იოდირებული მარილისა და სხვა ფორტიფიცირებული საკვები პროდუქტების შესაბამისობის სერტიფიკატი	*	*						
ფიტო-სანიტარიული სერტიფიკატი	*	*	*	*	სავალდებულო არ არის	*	*	სავალდებულო არ არის
ვეტერინარული სერტიფიკატი	*	*	*	*	სავალდებულო არ არის	*	*	სავალდებულო არ არის

სამკურნალო საშუალებების აღნუსხვის ფორმა	*				*			
საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) 9404 - სასაქონლო პოზიციაში შემავალი მეორადი მოხმარების საქონელსა და 6309, 6310, 9802, 9803 და 9804 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებულ მეორადი მოხმარების საქონელზე - ფუმიგაციის ან/და დეზინფექციის სერტიფიკატი	*							

“.